

# თხოვების ხელშეკრულება №9

ქ. ყვარელი

აგვისტო 2016 წ.

ერთის მხრივ, ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბ-ნ ილია მზექალაშვილის სახით, (მცხოვრები: ქ. თბილისი, საირმის ქუჩა, კოპ.4, ბინა №18, პირად №45001004506) (შემდგომში „განმათხოვრებელი“) და მეორეს მხრივ, შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს კახეთის საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოს ყვარლის სახანძრო-სამაშველო განყოფილების უფროსი გიორგი ღვედაშვილის სახით (მცხოვრები: ქ. ყვარელი, გურამიშვილის ქ.№48, პირად. №45001003038) (შემდგომში „მონათხოვრე“) საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-6 პუნქტისა და ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 6 ილისის №409 ბრძანების საფუძველზე, ვთანხმდებით და ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგ ზე:

## მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1. „განმათხოვრებელი“ პირდაპირი განკარგვის წესით, მიზნობრივი საქმიანობისთვის, უვადო სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადასცემს, ხოლო „მონათხოვრე“ უსასყიდლო სარგებლობის უფლებით იღებს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მოძრავ ქონებას, სახანძრო – სამაშველო ავტომანქანას PAYSTAR 50 სახ. ნომერი GL 681 LG ; გამოშვებული 1989 წელს;
- 1.2. მოძრავი ქონების გადაცემის ფაქტი დასტურდება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

„განმათხოვრებელი“

„მონათხოვრე“

-----

-----

## მუხლი. 2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი და სანქციები

2.1. „მონათხოვრე“ ვალდებულია:

- ა) უსასყიდლო სარგებლობის უფლებით – თხოვების ფორმით აღებული ქონება გამოიყენოს პირდაპირი დანიშნულებით, საგანგებო სიტუაციების აღმოფხვრის მიზნით და იქონიოს იგი სრულ წესრიგსა და სანიმუშო მდგომარეობაში;
- ბ) „განმათხოვრებელის“ თანხმობის გარეშე არ გადასცეს ქონება სარგებლობისთვის მესამე პირს, ასევე არ დააგირაოს, გაასხვისოს ან სხვაგვარად არ დატვირთოს იგი;
- გ) წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ან/და „განმათხოვრებელის“ მოთხოვნის შემთხვევაში „მონათხოვრე“ ვალდებულია დაუბრუნოს „განმათხოვრებელს“ ქონება შესაბამისი ცვეთის გათვალისწინებით, ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში;
- დ) გასწიოს ნათხოვარი ქონების მოვლისათვის აუცილებელი ყველა ხარჯი, რაც საჭიროა მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის. „მონათხოვრის“ მიერ ამ მიზნით გაწეული ხარჯი „განმათხოვრებელის“ მხრიდან კომპენსაციას არ ექვემდებარება;
- ე) დაუყონებლივ აცნობოს მესაკუთრეს ქონების დაზიანების ან განადგურების შესახებ;
- ვ) „განმათხოვრებელს“ რეგულარულად ჩააბაროს ინფორმაცია გადაცემული ქონების მდგომარეობის შესახებ.

2.2 ხელშეკრულების პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში „მონათხოვრე“ იღებს წერილობით გაფრთხილებას, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა.

2.3. ხელშეკრულების პირობათა განმეორებით დარღვევის შემთხვევაში, „განმათხოვრებელი“ უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება.

2.4. ხელშეკრულების 2.1. პუქტში აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში „განმათხოვრებელი“ უფლებამოსილია ჩამოართვას „მონათხოვრეს“ გადაცემული ქონება.

## მუხლი 3. დავის გადაწყვეტის წესი, მხარეთა პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ხელშეკრულებიდან წარმოშობილი სადაო საკითხები წყდება მხარეთა შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3.2. „მონათხოვრე“ პასუხს არ აგებს თუ ქონება განადგურდა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ასევე მისი ნორმალური ცვეთისათვის. „მონათხოვრეს“ ეკისრება პასუხისმგებლობა თუ იგი განზრახ ან გაუფრთხილებლობით აუარესებს ნათხოვარი ქონების მდგომარეობას.

„განმათხოვრებელი“

„მონათხოვრე“

- 3.3. მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შეუსრულებლობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 3.4. ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხრის მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.
- 3.5. ხელშეკრულება შეიძლება გაუქმდეს (შეწყდეს) მხარეთა შეთანხმებით ან ცალმხრივად ერთ-ერთი მხრის მიერ ერთი თვით ადრე გაკეთებული წერილობითი შეტყობინებით.

#### **მუხლი 4. დასკვნითი დებულებანი**

- 4.1. ხელშეკრულების 1.1 პუნქტში აღნიშნული სახანძრო – სამაშველი ავტომანქანის დანიშნულებისამებრ გამოყენება მოხდეს ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მანქანების ადგილსამყოფლად განისაზღვროს ქ. ყვარელი.
- 4.2. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ან მისი ნაწილის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას.
- 4.3. დანართები და ნებისმიერი ცვლილება, შეთანხმება ან/და დამატება, რომელიც წერილობით ფორმდება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და თანაბარი იურიდიული ძალის მქონეა.
- 4.4. თხოვების ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 4.5. მხარეები აცხადებენ, რომ გაეცნენ ხელშეკრულებას, გაიგეს მისი შინაარსი, ეთანხმებიან მას და იგი გამოხატავენ მათ ნებას.

#### **მუხლი 5. მხარეთა ხელმოწერები**

„განმათხოვრებელი“

„მონათხოვრე“

ყვარლის მუნიციპალიტეტის  
გამგებელი

შინაგან საქმეთა სამინისტროს  
სსიპ საგანგებო სიტუაციების  
მართვის სააგენტო

ილია მზექალაშვილი

გიორგი ღვედაშვილი

(ხელმოწერა)

(ხელმოწერა)